ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20

2022 წლის 23 დეკემბერი

ქ. ნინოწმინდა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირება, აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები თანახმად დანართისა.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის ,,**ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ №16** დადგენილება (www.matsne.gov.ge, 27/12/2021, 190040000.35.142.016281).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2023 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ვაან აროიანი

დანართი

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპა რატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოები და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირება

№	რანგირება	თანამდებობის დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო
1		**საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები**	**22**	
		საკრებულოს თავმჯდომარე	1	**4961**
		საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	**3751**
		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	**3267**
		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	**2662**
		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1	**2420**

		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	**7**	**1936**
2		**საკრებულოს აპარატი**	**5**	
	I რანგი	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – **აპარატის უფროსი**	1	**2783**
	II რანგი	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – **საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი**	1	**2178**
		საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- **იურიდიულ საკითხებში**	1	**1573**
		საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- **კადრებისა და საქმისწარმოების საკითხებში**	1	**1573**
	III რანგი	საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- **საორგანიზაციო საკითხებში**	1	**1573**